საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეწიეთი

მეწიეთი, სოფელი გურიის რეგიონის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (ხიდისთავის ადმ. ერთეული). მდებარეობს მდ. გუბაზეულის (სუფსის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 200 *მ*. ჩოხატაურიდან 7 *კმ*, საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 27 *კმ*. ხიდისთავიდან 2 *კმ* . 125 მცხ. (2014). სოფლიდან მიდის საცალფეხო გზა კურ. ბახმარომდე.

მ-ში იდგა წმ. გიორგის ეკლესია, სადაც ინახებოდა ოქროთი მოჭედილი წმ. გიორგის ხატი, ჯვარი და „მარხვანი“.